ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 127

"27" აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 13 აპრილის №14.10.324 განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრული 11 (თერთმეტი) ერთეული უძრავი ქონებიდან გარკვეული ფართის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულ საბანკო დაწესებულებისთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილების დანართი №1-ით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 13 აპრილის №14.10.324 განკარგულების დანართ №1-ში მითითებული უძრავი ქონებიდან ფართების (იმავე დანართში მითითებული ფართობის ოდენობით), პირდაპირი განკარგვის წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე იმ საბანკო დაწესებულებისთვის, რომელიც დასახელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულად.

2. შეთანხმებული იქნეს ბანკომატების განთავსებისათვის საჭირო 15 (თხუთმეტი) ერთეული ფართის (დანართი №1-ის შესაბამისად) საიჯარო ქირის წლიური საფასური ჯამში - 7740 (შვიდიათას შვიდას ორმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო ქალაქ თბილისში,

ჟ.შარტავას ქუჩა №7-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ში არსებული ფართიდან (საკადასტრო კოდი: 01.10.13.015.122) 10 კვ.მ-ზე საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4920 (ოთხიათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი №1

	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოები	მისამართი	საკადასტრო კოდი	ბანკომატისთვის გამოყოფილი ფართობი
1	ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა	ქ. თბილისი, ჯ.შარტავას ქუჩა №7	№01.10.13.015.122	1 კვ.მ (4 ერთეული ჯამში 4 კვ.მ.) და 10 კვ.მ სერვის ცენტრი
2.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2	№01.15.05.075.011	1 კვ.მ (2 ერთეული ჯამში 2 კვ.მ.)
3	მთაწმინდის რაიონის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა	ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილის ქუჩა 48	№01.15.05.006.005	1 კვ.მ
4	საბურთალოს რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა #29-29ა	№01.10.14.015.025	1 კვ.მ
5	ვაკის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ.თბილისი, თამარაშვილის ქუჩა №10ა	№01.14.03.042.204	1 კვ.მ
6	დიდუბის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №2/ბელიაშვილის ქუჩა #1	№01.13.03.050.004	1 კვ.მ
7	გლდანის რაიონის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა	ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა №1გ	№01.11.05.036.036	1 კვ.მ
8	ისნის რაიონის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა	ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1	№01.17.12.023.018	1 კვ.მ
9	ნაძალადევის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ. თბილისი, სან-ზონა №16 კორპუსის მიმდებარედ	№01.12.07.009.027	1 კვ.მ
10	ჩუღურეთის რაიონის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №65	№01.16.05.003.054	1 კვ.მ
11	სამგორის რაიონის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა	ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14	№01.19.34.002.033.01 .502	1 კვ.მ